სამეცნიერო კვლევით სექტორში ქალთა წარმომადგენლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე და საერთაშორისო მიდგომები

სამართლის დოქტორი,
ევროპის უნივერსიტეტის სამართლის
ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
ირინა ბათიაშვილი

Women's Representation in the Scientific Research Sector based on Tbilisi State University and International Approaches

Doctor of Law,
Researcher at the European University
Institute of Law
IRINA BATIASHVILI

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტი
Europian University Institute of Law

Tbilisi, 2025

რედაქტორები:
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გია ხუბუა**
სამართლის დოქტორი, პროფესორი **ბექა ქანთარია**

ყდის დიზაინი:
მხატვარი **ქეთი ბათიაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
თამარ ქავჟარაძე

წიგნი გამოცემულია ევროპის უნივერსიტეტის
სამართლის ინსტიტუტის მიერ

EDITORS:
Doctor of Law, Professor **Gia Khubua**
Doctor of Law, Professor **Beka Kantaria**

COVER DESIGN:
Artist **Keti Batiashvili**
COMPUTER SOFTWARE:
Tamar Kavzharadze

THE BOOK IS PUBLISHED WITH THE SUPPORT
OF THE EUROPEAN UNIVERSITY INSTITUTE OF LAW

I.S.B.N. 978 9941 9528 1

მადლიერების გვერდი

მადლიერი ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფრაუნჰოფერის კვლევითი ინსტიტუტის ჩემი პოსტ სადოქტორო კვლევისთვის შესაბამისი ინფორმაციების და სტატისტიკის მოწოდებისთვის. მადლიერი ვარ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის ჩემი პოსტ სადოქტორო კვლევის დაბეჭდვის მხარდაჭერისთვის.

ირინა ბათიაშვილი
სამართლის დოქტორი
ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის
მეცნიერ თანამშრომელი
ექსპერტი გენდერულ საკითხებში მეცნიერების,
ტექნოლოგიის და ინოვაციის მიმართულებით
სერტიფიცირებული მედიატორი

Acknowledgments

I'm grateful to Tbilisi State University and Fraunhofer Institute for Research and Innovation (ISI) for providing relevant information and statistics for my postdoctoral research and to the European University Institute of Law for supporting my publication.

Irina Batiashvili
Doctor of Law
Researcher at the European University Institute of Law
Expert in Gender Issues in Science,
Technology, and Innovation
Certified Mediator

სარჩევი

შესავალი 12

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის და
თანასწორობის კვალდაკვალ 17

ისტორიული წანამძღვრები 25

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებულ
ქალთა სტატისტიკა და ფრაუნჰოფერის სისტემების და
ინოვაციების კვლევითი ინსტიტუტის სტატისტიკა
სკოპუსის ბაზაზე დაყრდნობით 34

დოქტორანტების აქტივობასთან დაკავშირებით და
სამეცნიერო კვლევით სექტორში გენდერული ხასიათის
საერთაშორისო გამოწვევები 50

დასკვნა 60

დანართები 66

ბიბლიოგრაფია 77

Table of Content

Introduction 85

Regarding the Principle of the Social State and Equality 89

Historical Background 95

Tbilisi State University Statistics on TSU Women Employees and Fraunhofer Institute for Systems and Innovation Research ISI Statistics based on Scopus.....103

Tbilisi State University Statistics on Doctoral Student Activity and Gender-related International Challenges in the Scientific Research Sector 117

Conclusion.....126

Annexes..... 131

ქართული სამეცნიერო ლიტერატურა მწირია ისეთი გამოკვლევებით, რომელიც ეხება სამეცნიერო-კვლევით სექტორში ქალთა წარმომადგენლობის ანალიზს. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სერიოზულ გამოკვლევას ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევით სექტორში ქალთა ჩართულობის, ამ სფეროში ქალთა აქტიურობის ძირითადი ტენდენციების სამეცნიერო რეფლექსიის, არსებული გამოწვევებისა და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის თვალსაზრისით.

შედარებითი კვლევის საფუძველზე და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით ავტორი გვთავაზობს სამეცნიერო-კვლევით სფეროში ქალთა აქტიურობის გაზრდისაკენ მიმართულ პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციებს, რომელიც ეხება ქალთა სამეცნიერო აქტივობებს, ამ მიმართულებით არსებული ნეგატიური ტენდენციების პრევენციასა და ქალთა მაქსიმალურ ინტეგრაციას სამეცნიერო-კვლევით პროცესში.

ნაშრომი ეფუძნება ემპირიულ გამოკვლევებს, რაც კიდევ უფრო ზრდის ნაშრომის მნიშვნელობას. მწყობრ სამეცნიერო ლოგიკასა და ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებული მსჯელობა უფრო არგუმენტირებულს და დამაჯერებელს ხდის ავტორის რეკომენდაციებს.

შედარებითი მეთოდისა და ისტორიული ექსკურსის გამოყენებით ავტორს პრობლემა განხილული აქვს კომპლექსურად, ფართო სოციალურ, კულტუროლოგიურ და ისტორიულ კონტექსტში. სისტემური და მიზეზ-შედეგობრივი მიდგომის საფუძველზე წარმოდგენილია ქალთა სამეცნიერო აქტიურობების უნივერსალური ტენდენციები და ქართული რეალობის თავისებურებები. ავტორი გვთავაზობს ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრის მრავალდონიან

სტრუქტურას, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდიდა ქალების სრულფასოვან ინტეგრირებას სამეცნიერო-აკადემიურ საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ ავტორი არ ეძებს რაიმე პრივილეგიებს ან შეღავათებს ქალებისათვის. ის ესწრაფვის ქალთა სამეცნიერო რესურსის უფრო სრულფასოვან გამოყენებას საზოგადოების ინტერესებისთვის. შესაბამისად, ავტორის მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაციები არ შემოიფარგლება მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სექტორში ქალთა აქტიურობის წახალისებით, არამედ ზოგადად ქალთა სოციალური აქტიურობის წახალისებისკენაა მიმართული. ავტორი ცხადად გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მეცნიერ-ქალებს თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგომი ურთულესი გამოწვევების დაძლევის პროცესში.

ირინა ბათიაშვილის სამეცნიერო ნაშრომი არის ძალიან კარგი მაგალითი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქალთა სოციალური აქტიურობის შედარებითი კვლევა ცალკეული სფეროების მიხედვით. ამ თვალსაზრისით, ნაშრომის მნიშვნელობა ნამდვილად არ შემოიფარგლება მხოლოდ სამეცნიერო სექტორში ქალთა აქტიურობებით, არამედ ახალ პერსპექტივებს აყალიბებს საზოგადოების სხვადასხვა სექტორში ქალთა აქტიურობის სამეცნიერო კვლევის გააქტიურების თვალსაზრისითაც.

გია ხუბუა



იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
თსუ-ს პროფესორი

23 მაისი, 2025 წელი

ქალთა უფლებების ქომაგი მეცნიერებაში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უხსოვარი დროიდან ქალი სამართლის სუბიექტად არ იყო მიჩნეული. სახელმოხვეჭილ ფილოსოფოსთა ნაშრომებში ქალის შესახებ უამრავი მოსაზრება მოიპოვება. ისინი, უმეტესწილად, ქალის როლის დაკნინებისაკენ იყვნენ მოწოდებულნი. ყველას ახსოვს თუნდაც კანტის შეხედულება. ქალისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა მათი განკერძოება საზოგადოების მრავალი ფენისაგან. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ქალებმა თავი ვერ გამოიჩინეს პოლიტიკაში, მეცნიერებაში, სულიერი კულტურის სხვადასხვა სფეროში. ის, რომ მხოლოდ მამაკაცები ფილოსოფოსობდნენ, სწორედ ზემოთაღნიშნული იდეოლოგიის შედეგია. რომ არა ეს, ალბათ მრავალი ქალის სახელი დაამშვენებდა მოაზროვნეთა თუ განმანათლებელთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედს. სამწუხაროდ, არ გვახსენდება ისეთი ქალი-ფილოსოფოსი, რომელმაც ფილოსოფიაში რომელიმე მიმდინარეობას დაუდო სათავე.

ჟამთასვლასთან ერთად ქალისადმი დამოკიდებულება შეიცვალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპისა და ამერიკის ზოგიერთი გამოჩენილი და, ამავე დროს, მამაცი ქალის თავდადება მათი უფლებების აღიარებისა და მამაკაცებთან სწორუფლებიანობისათვის. ამ თემაზე მრავალი პუბლიცისტური წერილი დაიბეჭდა დიდი ილიას და მისი პლეადის თაოსნობით იმ დროინდელ ქართულ პრესა-

ში, რაც კარგად არის აღწერილი ორწიგნეულის (XIX საუკუნის საქართველო ევროპული სამართლებრივი კულტურის მაგისტრალზე) მეორე ტომში. ამ მხრივ ქართულმა ინტელიგენციამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა, რათა ჩვენი საზოგადოების შეგნებაში ქალის უფლებრივი როლი უკეთ ყოფილიყო დამკვიდრებული. დამაგვირგვინებელი კი საქართველოს პირველი კონსტიტუცია გახდა. ამ მხრივ იგი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. 1921 წელს მსგავსი ნაბიჯი ბევრ ევროპულ სახელმწიფოს არ გადაუდგამს.

დღეს უკვე არაერთი ქალის სახელთანაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი დარგის აღმოცენება და მისი აღორძინება. მარტო ის რად ღირს, რომ ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების სათავეებთან თინათინ წერეთელი დგას, რომლის მოღვაწეობამ საერთაშორისო აღიარება მოუპოვა ქართული სამართლის მეცნიერულ სკოლას.

მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის ისტორიაში ქალის ფენომენს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა და, შეიძლება ითქვას, XXI საუკუნე ქალების საუკუნეა, შესასწავლი, გასააზრებელი და გასათავისებელი კიდევ ბევრია. ქალის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება კვლავ მოითხოვს მეცნიერთა ენთუზიაზმს. ამ მხრივ ბევრმა ქალბატონმა თავისი მეცნიერული აზროვნება და კალამი მთლიანად ამ საკითხს მიუძღვნა. ტრადიცია გრძელდება. ახალგაზრდა თაობაში ამობრწყინდნენ ღირსეული, პატრიოტი მკვლევარები, რომელთა წვლილი ქალთა უფლებრივი პრობლემების შესწავლაში უკვე საგრძნობია და სერიოზულ კვალს ტოვებენ ამ თვალსაზრისით.

ირინა ბათიაშვილი მეცნიერების ამ ველზე ძალუმად შემოიჭრა. იგი თვითმყოფი აზროვნებით, შრომისმოყვარეობით, მეცნიერული კვლევის მეთოდების მომარჯვებით ღირსეულად უმკლავდება ახალგაზრდა მეცნიერის წინაშე წამოჭრილი ამოცანების აღსრულებას.

ირინა ბათიაშვილის წინამდებარე შესანიშნავი ნაშრომი ნამდვილად გაიკვლევს გზას ქართველი მკითხველისაკენ. იგი კიდევ უფრო განამტკიცებს რწმენას იმისა, რომ საქართველო, როგორც ევროპული ქვეყანა და ქართული იურიდიული მეცნიერება მედგრად განაგრძობს ბრძოლას ეროვნულ სამართლებრივ კულტურაში ქალის როლის კიდევ უფრო განმტკიცების, ამაღლებისა და აღორძინებისათვის.

ბექა ქანთარია

სამართლის დოქტორი
პროფესორი